



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000049814866321

№ 01-407-A

10 / ნოემბერი / 2021 წ.

ბრძანება

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 08 ნოემბრის ბრძანება № 01 - 3 9 9-A-ში
ცვლილების შეტანის შესახებ

(სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩასაბერი საკრავების
(ინსტრუმენტის) ხელოსან/ამწყობის პოზიციაზე სამსახურში მისაღებად ვაკანსიის გამოცხადების შესახებ)

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი-63 "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“ „მ“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამოცხადდეს ვაკანსია ჩასაბერი საკრავების (ინსტრუმენტის) ხელოსან/ამწყობის პოზიციაზე სამსახურში მისაღებად, შემდეგი პირობებით:

სამუშაო გრაფიკი: არასრული განაკვეთი;
ანაზღაურება: 300 ლარი (საშემოსავლი გადასახადის ჩათვლით)
მსგავს პოზიციაზე ან/და სფეროში მუშაობის გამოცდილება
გამოსაცდელი ვადა 6 თვე;

2.ჩასაბერი საკრავების (ინსტრუმენტის) ხელოსან/ამწყობის პოზიციაზე კანდიდატს მოეთხოვება:

- ინტონაციისა და აწყობის ტექნიკის ფლობა, აკუსტიკის საფუძვლების, ბგერის სიძლიერის ფიზიკური მახასიათებლების, ბგერის ხანგრძლივობის, ბგერის ტემბრის, ვიბრაციის კანონების, ტონის სიმაღლის სტანდარტების ცოდნა;
- შეკვთების, კორექტირების და დარეგულირების სამუშაო უნარები;
- მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადების ტექნოლოგიისა და დიზაინის ცოდნა, ნაწილების დანიშნულება და მათი ურთიერთდამოკიდებულების ცოდნა.
- მუსიკალური განათლება, პრაქტიკული გამოცდილება;
- მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობა და შეკვთება/დარეგულირება;
- მათი პარამეტრების შემოწმება ცალკეული მუსიკის დაკვრით და მოსმენით;
- დეფექტების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ კორექტირების სიზუსტეზე.

3. უნარები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- გუნდურობა და კომუნიკაბელურობა;
- ყურადღებიანობა და დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ორგანიზებულობა, მონესრიგებულობა;
- ოპერატიულობა;
- ცვლილებების ადეკვატურად აღქმის უნარი და სიახლეების სწრაფად ათვისების შესაძლებლობა;

4. „რეზიუმე (CV) წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ელ-ფოსტაზე: hr@tsc.edu.ge არაუგვიანეს 2021 წლის 18 ნოემბერისა;“ (რეზიუმეს გამოგზავნით თქვენ აცხადებთ თანხმობას კონსერვატორიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში).
ვაპლიკანტმა რეზიუმესთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

- ა) პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
- ბ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევ პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);
- გ) CV;
- დ) ფოტოსურათი 3X4 (2 ც.);
- ე) დიპლომის, სერთიფიკატის ასლები (არსებობის შემთხვევაში);
- ვ) რეკომენდაცია (სასურველია);

6. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე tsc.edu.ge

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

8. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად



ნიკოლოზ თოიძე